საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/70
23 - მარტი, 2022 წ.

ქ. ბათუმი

2022 წლის ივნისში ბსუ-ში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მართის N07-01/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის"**, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ლევან ტარიელაძის 2022 წლის 16 მარტის N 264475 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ში **2022 წლის 29-30 ივნისს ჩატარდეს** სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია და გამოცხადდეს კონკურსი კონფერენციის მონაწილე სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების შერჩევის მიზნით.
2. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საბაკალავრო, სამაგისტრო, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო, სამაგისტრო და სამედიცინო განათლების მიმართულებით ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, როგორც ბსუ-დან, ასევე საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.
3. 2022 წლის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ორგანიზების მიზნით განისაზღვროს განსახორციელებელი შემდეგი აქტივობები და ვადები:

   ა) ბსუ-ს თითოეული დარგობრივი დეპარტამენტების მიერ არაუმეტეს 10 პრიორიტეტული საკონფერენციო საკითხის (თემატიკის) განსაზღვრა და სამსახურებრივი ბარათის დეკანის ვიზირებით წარმოდგენა ბსუ-ს რექტორისათვის **– 2022 წლის 28 მარტი;**

   ბ) დარგობრივი დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი საკონფერენციო საკითხების სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ ბსუ-ს პორტალზე - Portal.bsu.edu.geზე განთავსება (პორტალის მოდულში **,,კარიერული ოფისი"** რეგისტრაცია ელექტრონულად), ასევე ბსუ-ს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებისათვის წარდგენა **– 2022 წლის 29 მარტი;**

   გ) ბსუ-ს სტუდენტთა მიერ სამეცნიერო ნაშრომის სათაურისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დარეგისტრირება ბსუ-ს პორტალზე (პორტალის მოდულში ,,კარიერული ოფისი" რეგისტრაცია ელექტრონულად) **– 2022 წლის 30 მარტიდან - 2022 წლის 15 აპრილამდე;**

დ) ბსუ-ს **სტუდენტთა მიერ სამეცნიერო ნაშრომის** (შედგენილი წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მართის N07-01/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის" N1 ფორმის შესაბამისად), **ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ სტუდენტის განცხადების** (შედგენილი წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მართის N07-01/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის" N2 ფორმის შესაბამისად) და **სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი განცხადების/დასკვნის** (შედგენილი წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მართის N07-01/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის" N3 ფორმის შესაბამისად) **განთავსება/დარეგისტრირება** ბსუ-ს პორტალის შესაბამის ველში – **2022 წლის 15 აპრილიდან 2022 წლის 16 ივნისის ჩათვლით;**

ე) ბსუ-ს პორტალზე განთავსებული სტუდენტთა ნაშრომების სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის მეშვეობით, ელექტრონული საქმისწარმოების საშუალებით შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტებისათვის წარდგენა - **2022 წლის 16 ივნისი;**

ვ) დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების პირველ ეტაპზე შემფასებელი კომისიის (არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით) შექმნის შესახებ ინიციატივის/სამსახურებრივ ბარათის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ვიზირებით, ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა და ამ ბარათების საფუძველზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის მომზადება ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ (სამეცნიერო კვლევების სამსახურისა და რექტორის მოადგილის ვიზირებით) - **2022 წლის 17 ივნისი;**

ზ) რექტორის ბრძანებით შექმნილი სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების **პირველ ეტაპზე შემფასებელი კომისიის** მიერ სამეცნიერო ნაშრომების შეფასებების (შეფასების I ეტაპი - კონფერენციაზე სამეცნიერო ნაშრომის საერთო შეფასებიდან 35 ქულის ფარგლებში) შესახებ დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელების სამსახურებრივი ბარათების (სტუდენტებისათვის მინიჭებული ქულების მითითებით) ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა- **2022 წლის 18 ივნისიდან 2022 წლის 22 ივნისის ჩათვლით;**

თ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის კოორდინირებული მუშაობით, დარგობრივი დეპარტამენტებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება და დარგობრივი მიმართულებების მიხედვით არაუმეტეს 10 საუკეთესო ნაშრომის გამოვლენა (უნდა შეირჩეს საუკეთესო/მაღალი ქულების მქონე ის ნაშრომები, რომლებსაც დარგობრივი დეპარტამენტის შემფასებელი კომისიის შეფასების მიხედვით პირველ ეტაპზე მისანიჭებელი 35 ქულის ფარგლებში მიღებული აქვს არანაკლებ 18 ქულა) - **2022 წლის 23 ივნისი;**

ი) **ბსუ-ში ჩასატარებელი სტუდენტთა კონფერენციის სექციების სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ**

განსაზღვრა, სამეცნიერო დარგის/მიმართულების მიხედვით (მინიმუმ **5** სამეცნიერო ნაშრომის შემთხვევაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეცნიერო ნაშრომი უნდა დარეგისტრირდეს მომიჯნავე სამეცნიერო დარგის სექციაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში). სტუდენტის მიერ წარდგენილი 2 (ორი) სამეცნიერო ნაშრომის ერთ სექციაში მოხვედრის შემთხვევაში, წარდგენის ეტაპზე უნდა დაიშვას მხოლოდ ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც კომისიის გადაწყვეტილებით უფრო მაღალი შეფასება აქვს, ხოლო თანაბარი ქულების შემთხვევაში კონფერენციაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს ერთ-ერთმა სამეცნიერო ნაშრომმა, ნაშრომის ავტორი სტუდენტის არჩევანის შესაბამისად (პორტალის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს განცხადება) - **2022 წლის 24 ივნისი;;**

კ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მართის N07-01/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის" და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით სტუდენტთა **კონფერენციის პროგრამის შედგენა** და შესაბამის ინფორმაციასთან ერთად ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბსუ-ს პორტალზე განთავსება (პროგრამაში უნდა მიეთითოს კონფერენციის თითოეული სექციის მუშაობის დრო და ადგილი) - **2022 წლის 27 ივნისი;**

ლ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის კოორდინირებული მუშაობით, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტისა და ნაშრომების მე-2 ეტაპზე შემფასებელი, ასევე შემაჯამებელი კომისიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებების პროექტების მომზადება და წარდგენა - **2022 წლის 28 ივნისი;**

მ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (რექტორის მოადგილის ვიზირებით) საფუძველზე ბსუ-ს რექტორის ბრძანებით სტუდენტთა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის შექმნა - **2022 წლის 28 ივნისი;**

ნ) სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის გამართვა - **2022 წლის 29-30 ივნისს,** კონფერენციაზე საჯაროდ წარმოდგენილი ნაშრომების შეფასებების (პირველ და მე-2 ეტაპზე მიღებული) შემაჯამებელი კომისიის მიერ დაჯამება და კონკურსის შედეგების შესახებ სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის და სტუდენტთა მიმართ წახალისების ღონისძიებების გამოყენების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა (სამეცნიერო კვლევების სამსახურისა და რექტორის მოადგილის ვიზირებით).

4. 2022 წლის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში საქართველოში ავტორიზებული **სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტების მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში** განისაზღვროს განსახორციელებელი აქტივობები და ვადები:

ა) სტუდენტთა მიერ **სამეცნიერო ნაშრომის** (შედგენილი წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მართის N07-01/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის" N1 ფორმის შესაბამისად), **ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ სტუდენტის განცხადების** (შედგენილი წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მართის N07-01/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის" N2 ფორმის შესაბამისად) და **სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი განცხადების/დასკვნის** (შედგენილი წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მართის N07-01/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის" N3 ფორმის შესაბამისად) სტუდენტთა მიერ სამეცნიერო ნაშრომის სათაურისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის (რომელიც შეიძლება იყოს სტუდენტის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული აკადემიური თანამდებობის პირი) შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის - chancelery@bsu.edu.ge მეშვეობით წარმოდგენა – **2022 წლის 30 მარტიდან - 2022 წლის 5 ივნისამდე;**

ბ) სტუდენტთა მიერ ,,ა" ქვეპუნქტით წარმოდგენილი ინფორმაციის და ნაშრომების სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ, სამსახურებრივი ბარათის მეშვეობით, ელექტრონული საქმისწარმოების საშუალებით, სტუდენტთა საკონფერენციო თემის შესაბამისად, ბსუ-ს ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტებისათვის მიწოდება - **2022 წლის 16 ივნისი.**

5. წინამდებარე ბრძანების აღსრულებისათვის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა და სამეცნიერო კვლევების სამსახურმა უზრუნველყონ წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მართის N07-01/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის'' მოთხოვნების შესრულება.
6. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე გავრცელდეს ბსუ-ს პორტალის და სოციალური ქსელის მეშვეობით.
7. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**